

Conse

სამართლებრივი სიახლეები

ავტორი: გვანცა სანებლიძე

2021 წლის 15 აპრილი



„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სიახლეების მიმოხილვა

2021 წლის 01 აპრილიდან საქართველოში ამოქმედდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში “კანონი” ან “ახალი კანონი”), რომელმაც ჩაანაცვლა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში “ძველი კანონი”) და შემოიტანა ძველი კანონისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომები და წესები. განსხვავებით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს ძველი კანონისა, ახალი კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება უპირატესად რეაბილიტაციის და არა სანარმოს გაკოტრების გზით, რომლის მიღწევის მთავარ მექანიზმად იგი განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს. წინამდებარე მიმოხილვაში შევაჯამებთ იმ ძირითად სიახლეებს, რომელსაც მოცემული კანონი გვთავაზობს.

კანონის მიზანი და პრინციპები

ძველი კანონისგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავდა მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერ დაცვას, ახალი კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის (მოვალის ქონება) რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. შესაბამისად, კანონის მიზანია კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილება უპირატესად რეაბილიტაციის და არა სანარმოს გაკოტრების გზით. აღნიშნული მიზნის მიღწევას ახალი კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ახალი პრინციპების დანერგვით ცდილობს, როგორცაა:

- გადახდისუუნარო მოვალის საქმიანობისა და გადახდისუუნარობის მასის სწორი მართვა;
- გადახდისუუნარო მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფი და თანამიმდევრული გადაწყვეტა;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის გამჭვირვალობა და განჭვრეტადობა;
- გადახდისუუნარობის მასისა და ბიზნესის ღირებულების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება და გაზრდა;
- გადახდისუუნარო მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარი მოპყრობა.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება წარმოადგენს მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სასამართლოს ზედამხედველობის მეშვეობით წარმართვის გზას, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ითხოვს სასამართლოს მიერ მოვალის მიმართ რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის დაწყებას.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლებამოსილება აქვს მოვალეს, ნებისმიერ კრედიტორს, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველსა და რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველებს (მხოლოდ რეჟიმის კონვერტიის მოთხოვნით).

ახალი კანონი იძლევა მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის სასამართლოს გზით წარმოების ეტაპზე, როგორც კრედიტორების, ისე მოვალის პროცესუალური ინტერესების დაბალანსებისა და საქმის წარმოების დროში ეფექტურობის შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოვალის რეაბილიტაციაუნარიანობას.

ძველი კანონი არ ითვალისწინებდა მოვალისთვის გადახდისუუნარობის შესახებ კრედიტორის განცხადების ჩაბარებისა და აღნიშნულზე სასამართლოს მიერ მოვალის პოზიციის მიღების შესაძლებლობას. ხოლო, ახალი კანონის მიხედვით, მოვალე ვალდებულია სასამართლო გზავნილის მიღებიდან 7 დღის ვადაში სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი თვალსაზრისი თავისი გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეს, ვინაიდან თანაბრად არის უზრუნველყოფილი, როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებები გააცნოს სასამართლოს თავისი პოზიცია მის არსებულ ან სამომავლო გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხს სასამართლო წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც ემსახურება მოვალის ფინანსური სირთულეების სწრაფად გადაწყვეტის მიზანს. თუმცა, ეს არ ართმევს სასამართლოს შესაძლებლობას, აღნიშნულზე იმსჯელოს ზეპირი განხილვის ფარგლებშიც, თუ მიიჩნევს, რომ მოცემული ემსახურება საქმის გარემოებათა სრულყოფილად გარკვევის მიზანს.

ამ ნაწილში მოვალის ფინანსური სირთულეების დროში ეფექტურად გადაწყვეტას აგრეთვე უზრუნველყოფს განმცხადებლის შესაძლებლობა - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაშივე მიუთითოს შესაბამისი რეჟიმის გახსნის მოთხოვნაც. შესაბამისად, სასამართლოს, განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად, ასევე გამოაქვს გადაწყვეტილება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე.

გადახდისუუნარობის მასა

ძველი კანონი მოვალის ქონებას უწოდებდა სამეურვეო ქონებას, ხოლო, ახალი კანონის საფუძველზე მოვალის ქონებას სახელწოდება ეცვლება და იგი მოიხსენიება, როგორც გადახდისუუნარობის მასა. გადახდისუუნარობის მასა მოიცავს მოვალის მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის და ამ მომენტიდან შეძენილ/მიღებულ/წარმოებულ ქონებას.

ახალი კანონი ახდენს გადახდისუუნარობის მასიდან ცალკეულ ნივთებთან დაკავშირებული სანივთო უფლებების საკითხის გამიჯვნას. კერძოდ იგი გადახდისუუნარობის მასიდან გამორიცხავს პირობადებული საკუთრების ობიექტს ან ლიზინგის საგანს, რომლის შესყიდვის უფლებაც აქვს მოვალეს. მმართველის/ზედამხედველის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ქონება შეიძლება დარჩეს მოვალის მფლობელობასა და სარგებლობაში, თუ ეს აუცილებელია რეაბილიტაციის ან გაკოტრების მიზნებისთვის.

ახალი კანონი მოვალის ქონებას უწოდებს „გადახდისუუნარობის მასას“ და ახდენს მასში შემავალ ცალკეულ ნივთებთან დაკავშირებული სანივთო უფლებების საკითხის გამიჯვნას.

რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ახალი კანონი ანიჭებს სასამართლოს. ძველი კანონით ასეთი უფლებამოსილება გააჩნდა მომრიგებელ საბჭოს.

კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებები ახალი კანონით რეგულირებულია „საცილო ქმედებების“ სახელწოდებით. იგი აგრეთვე განსაზღვრავს ქმედების საცილოდ გახდომისა და შეცილების უფლების ვადებს.

რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნა

კანონის მიხედვით რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ არის. რეაბილიტაციისა და გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სასამართლოსთვის მინიჭებით, ახალი კანონი აღმოფხვრის ძველი კანონით დადგენილ საკანონმდებლო ხარვეზს, რომლის მიხედვითაც რეაბილიტაციისა და გაკოტრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას იგი ანიჭებდა მომრიგებელ საბჭოს.

სასამართლო, რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინებით, აგრეთვე ნიშნავს რეაბილიტაციის რეჟიმის მმართველს/ზედამხედველს ან გაკოტრების რეჟიმის მმართველს (გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი).

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს მორატორიუმის სრულ აღწერასაც, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნებას და დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორთა კოლექტიური ინტერესების დაცვას მოვალის და განსაკუთრებით, ცალკეული კრედიტორების ინდივიდუალური ქმედებებისაგან.

საცილო ქმედებები

კანონი არეგულირებს „საცილო ქმედებების“ საკითხს, რომელიც ძველ კანონში მოიხსენიებოდა „კრედიტორისათვის ზიანის მომტანი ქმედებების“ სახელწოდებით. ვინაიდან არსებობს საშიშროება იმისა, რომ მოვალემ შესაძლოა განზრახ შეამციროს ან/და გააფასუროს გადახდისუუნარობის მასა ან უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე კრედიტორს, მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს უფლება აქვს საცილო გახადოს ასეთი ქმედებები.

ქმედება შესაძლოა საცილო გახდეს, თუ იგი განხორციელდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებამდე 1 წლის განმავლობაში, ხოლო თუ შეცილების მოწინააღმდეგე მხარე მოვალესთან დაკავშირებული პირია – 2 წლის განმავლობაში. აგრეთვე, ქმედება, რომელიც მოვალემ კრედიტორისთვის ზიანის მისაყენებლად განახორციელა, შეიძლება საცილო გახდეს, თუ იგი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე 3 წლის განმავლობაში განხორციელდა.

შეცილების უფლების ხანდაზმულობის ვადაა 1 წელი, რომელიც აითვლება სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის თარიღიდან.

გათვალისწინებით იმისა, რომ შეცილების უფლება გადახდისუნარობის მასის კრედიტორთა სასარგებლოდ შენარჩუნების მიზანს ემსახურება, მის სამართლებრივ შედეგს აქვს რესტიტუციული ხასიათი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალის გადახდისუნარობის მასა უნდა შეივსოს და აღდგეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იარსებებდა საცილო ქმედებებს ადგილი რომ არ ჰქონოდათ. შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული საცილო ქმედებების სამართლებრივი შედეგი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

მოვალე მართვაში

ახალი კანონის უპირატეს მიზანს წარმოადგენს მოვალე-სუბიექტის გადარჩენა რეაბილიტაციის გზით, რის საფუძველზეც იგი განსაზღვრავს რეაბილიტაციის რეჟიმში მართვის ახალ ფორმას, როგორცაა „მოვალე მართვაში“. მართვის ამ ფორმის პირობებში, რეაბილიტაციის რეჟიმში მოვალის საქმიანობასა და ქონებას მართავს მართვაში მყოფი მოვალე, რეაბილიტაციის ზედამხედველის მეთვალყურეობით. ხოლო, რეაბილიტაციის რეჟიმში ამ უკანასკნელის მმართველობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლო არ ტოვებს მოვალეს მართვაში, თუ იგი რეაბილიტაციის რეჟიმში შედის წარუმატებელი რეგულირებული შეთანხმების რეჟიმიდან ან თუ იგი ახორციელებდა არაკეთილსინდისიერ მენეჯმენტს და თუ იგი არაკეთილსინდისიერი იყო გადახდისუნარობის მიმართაც.

მართვაში მყოფ მოვალეს აქვს რეაბილიტაციის მმართველისთვის ამ კანონით განსაზღვრული ყველა უფლება და მოვალეობა, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც აქვს რეაბილიტაციის ზედამხედველს, ასევე მოვალის ყოფილი ან მოქმედი დირექტორის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირების ქმედებებისა და მათ მიერ დადებული გარიგებების შეცილების უფლებისა.

უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლება (right to separate satisfaction)

უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების მიმართ მორატორიუმის ღონისძიების მოხნის შუამდგომლობით, რა დროსაც მან სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ მას, მორატორიუმის ღონისძიების გამოყენების შედეგად, ადგება მნიშვნელოვანი ზიანი და მისი ეს ინტერესი გადანონის კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების კანონისმიერ მიზანს. თუ რეაბილიტაციის მმართველი არ ეთანხმება უზრუნველყოფილ ქონებაზე მორატორიუმის ღონისძიების მოხნას, მაშინ მტკიცების ტვირთი გადადის მასზე და მან უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნულ ქონებაზე მორატორიუმის ღონისძიების დატოვება არსებითაა რეაბილიტაციის მიზნებისთვის.

ახალი კანონი განსაზღვრავს რეაბილიტაციის რეჟიმში მართვის ახალ ფორმას - „მოვალე მართვაში“. კანონის ასეთი სიახლე ერთგვარი წამახალისებელი მექანიზმია გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესში რეაბილიტაციის რეჟიმისთვის მისამართად. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს საფუძვლებს, როდესაც სასამართლო უარს ამბობს მოვალის მართვაში დატოვებაზე.

Right to separate satisfaction უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებაა მიმართოს სასამართლოს მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების მიმართ მორატორიუმის ღონისძიების მოხნის შუამდგომლობით.

ახალი კანონი განსაზღვრავს გადახდისუნარობის მასის შენარჩუნებისა და კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების დამცავ მექანიზმებს, მორატორიუმის კანონისმიერი და დისკრეციული ღონისძიებების სახით.

ახალი კანონი აგრეთვე არეგულირებს გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციის რეჟიმში გარდაქმნის შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვნად წაახალისებს მენარმე სუბიექტებს ჩაება გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში.

მორატორიუმი

მორატორიუმის მთავარ მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, გადახდისუნარობის მასის შენარჩუნება და მისი დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების დაცვა, როგორც მოვალის, ისე ცალკეულ კრედიტორთა ქმედებებისგან. კანონი განსაზღვრავს მორატორიუმის კანონისმიერ და დისკრეციულ ღონისძიებებს. კანონისმიერი ღონისძიებები ამოქმედდება ავტომატურად, სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანისთანავე. აგრეთვე, სასამართლოს, თავისი დისკრეციით, შეუძლია მორატორიუმის დამატებითი ღონისძიებების გამოყენება კრედიტორის, მოვალის, მმართველის ან სხვა დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

კონვერსია

ახალი კანონით შემოთავაზებულია რეჟიმის კონვერსიის შესაძლებლობა, რაც შეიძლება ჩაითვალოს გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში მხარეთა ჩაბმის წამახალისებელ მექანიზმად. კერძოდ, კონვერსიის საშუალებით კანონი იძლევა, არა მხოლოდ რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმში გარდაქმნის, არამედ გაკოტრების რეჟიმის რეაბილიტაციის რეჟიმში დაბრუნების შესაძლებლობასაც.

რეაბილიტაციის რეჟიმი გაკოტრების რეჟიმით იცვლება, თუ რეაბილიტაციის გეგმა კანონით დადგენილი წესით არ დამტკიცდა, რა შემთხვევაშიც სასამართლო ნიშნავს გაკოტრების მმართველს. რეაბილიტაციის მმართველი/რეაბილიტაციის ზედამხედველი უფლებამოსილია, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებამდე, ნებისმიერ დროს, სასამართლოს წარუდგინოს კონვერსიის შესახებ განცხადება, თუ მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მიზნის მიღწევის გონივრული ალბათობა აღარ არსებობს.

მსგავსად რეაბილიტაციის რეჟიმის გაკოტრების რეჟიმით ცვლილებისა, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია სასამართლოში შეიტანოს განცხადება რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის მოთხოვნით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სასამართლო ხელმძღვანელობს რეაბილიტაციის რეჟიმის დამტკიცებისა და გახსნისთვის კანონით დადგენილი პროცედურითა და იგი აგრეთვე წყვეტს მორატორიუმთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა და გაკოტრების დასრულების შემდეგ დარჩენილი ქონების ბედი

კანონი განსაზღვრავს ახალი კრედიტორული მოთხოვნების უპირველესი დაკმაყოფილებისა და პრეფერენციული მოთხოვნების დაკმაყოფილების ადგილს დასაკმაყოფილებელ კრედიტორთა რიგში. ახალი კანონი აგრეთვე აღმოფხვრის გაკოტრების დასრულების შემდგომ მოვალის დარჩენილი ქონების ნორმატიული რეგულირების ხარვეზს მის კონსტიტუციურობასთან მიმართებით.

კანონი აძლევს კრედიტორებს შესაძლებლობას, შესთავაზოს გაკოტრების მმართველს მოვალის ქონების რეალიზაციის ალტერნატიული ფორმა, ხოლო გაკოტრების მმართველს დისკრეციას, რომ თავად აირჩიოს ყველაზე ოპტიმალური გზა გადახდისუნარობის მასის იმგვარი რეალიზაციისთვის, რაც საუკეთესოდ დაიცავს კრედიტორულ ინტერესებს.

კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობის ნაწილში მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებას წარმოადგენს გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შემდეგ წარმოშობილი ახალი კრედიტორული მოთხოვნების უპირველესი დაკმაყოფილება. აგრეთვე, კანონი კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობაში განსაზღვრავს ე.წ. პრეფერენციულ მოთხოვნებს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს ახალი კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ. პრეფერენციულ მოთხოვნად განიმარტება სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯები (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა), ასევე საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის - არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით).

ძველი კანონი გადახდისუნარობის მასის განაწილების შემდეგ დარჩენილ ქონებას სახელმწიფო საკუთრებაში მიაქცევდა, რაც იწვევდა კითხვებს ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ახალი კანონით ხარვეზი აღმოიფხვრა და საწარმოს გაკოტრების შემდეგ დარჩენილი გაუნაწილებელი თანხა მოვალის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად ნაწილდება, თუ წესდებით ან პარტნიორთა შორის არსებული შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გადახდისუნარობის მასის რეალიზება

ახალი კანონის მიხედვით, გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდისუნარობის მასის რეალიზაცია ქონების რეალიზაციისთვის კანონით დადგენილი ნებისმიერი ფორმით, ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ, იმ პრინციპის დაცვით, რომელიც უფრო მეტი თანხის ამოღების შესაძლებლობას იძლევა. ხოლო, ქონების რეალიზაციის ფორმის შერჩევის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ, 7 დღის ვადაში კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს შესთავაზოს ქონების რეალიზაციის ალტერნატიული ფორმა, რომელიც კრედიტორთა ერთობლიობისთვის უფრო მომგებიანი იქნება. ქონების რეალიზების შესახებ გადაწყვეტილებას კი იღებს მმართველი. შესაბამისად, შემოთავაზებული საკანონმდებლო სიახლე მმართველს ანიჭებს დისკრეციას, რომ თავად განსაზღვროს და აირჩიოს ყველაზე ოპტიმალური გზა გადახდისუნარობის მასის იმგვარი რეალიზაციისთვის, რაც საუკეთესოდ დაიცავს კრედიტორულ ინტერესებს.

კანონით აგრეთვე დარეგულირებულია სპეციალური სტატუსის მქონე მოვალის ცნება და მისი ქონების რეალიზაციისადმი განსხვავებული მიდგომა.

ახალი კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების მხარეებს სთავაზობს ურთიერთკომპრომისულ და საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეულ სასამართლოსმიღმა პროცესს „რეგულირებულ შეთანხმებას“, რომელიც ორიენტირებულია მენარმის, როგორც მოქმედი საწარმოს შენარჩუნებისა და მხარეთა შორის შეთანხმების სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით მიღწევისაკენ.

სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალე

კანონს შემოაქვს სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ცნება და განსაზღვრავს მისი ქონების რეალიზაციის განსხვავებულ მიდგომას. თუ მოვალის საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა არსებით ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესს, სასამართლოს შეუძლია ასეთ პირს მინიჭოს სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის სტატუსი. სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ქონების რეალიზაცია ხორციელდება ერთიანი კომპლექსის სახით ან სხვა ფორმით, რომელიც მისი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებას ხელს არ უშლის. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სპეციალური რეჟიმის სტატუსის მქონე მოვალის ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, დაუშვებელია მისი შემძენის მიერ მოვალის საქმიანობის პროფილის შეცვლა და იგი იღებს ვალდებულებას, გააგრძელოს ის საქმიანობა, რომელსაც გაკოტრებული მოვალე ახორციელებდა.

რეგულირებული შეთანხმება (სასამართლოსმიღმა პროცესი)

კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების მხარეებს სთავაზობს საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცეული მოლაპარაკებების ფარგლებში გადახდისუნარობის საქმის წარმოების რეაბილიტაციით დასრულების ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც წარმოადგენს მოვალისთვის კრედიტორებთან შეთანხმების მიღწევის სწრაფ და ნაკლებ დანახარჯებთან დაკავშირებულ პროცედურას. რეგულირებული შეთანხმების ინიცირების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოვალეს. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებაზეა თანახმა.

რეგულირებული შეთანხმების მიზანია მოვალის, როგორც მოქმედი საწარმოს, შენარჩუნება, რაც გამორიცხავს ამ შეთანხმების ფარგლებში მის ლიკვიდაციას. ხოლო, მისი დადება და შესრულება მხოლოდ რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველის (გადახდისუნარობის პრაქტიკოსი) მონაწილეობითაა შესაძლებელი.

გადახდისუნარობის პრაქტიკოსი

ახალი კანონი რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველსა და რეაბილიტაციის/რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველს საერთო ტერმინის „გადახდისუნარობის პრაქტიკოსის“ ქვეშ აერთიანებს. გადახდისუნარობის პრაქტიკოსი, რომელიც გაუძღვება გადახდისუნარობის საქმის წარმოებას, არის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი და ყოველ გადახდისუნარობის საქმეზე იგი შეირჩევა ავტომატურად, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, შესაბამისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

კანონით აგრეთვე ახლებურად არის რეგულირებული გადახდისუნარობის პროცესის ხარჯები.

ახალი კანონის მიხედვით რეაბილიტაციის/გაკოტრების მმართველი, რეაბილიტაციისა და რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველი შეიძლება იყოს მხოლოდ გადახდისუნარობის პრაქტიკოსი. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული ამ პროფესიის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც გადახდისუნარობის საქმის წარმოებას უნდა გაუძღვნენ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად.

გადახდისუნარობის პრაქტიკოსი ყოველ გადახდისუნარობის საქმეზე შეირჩევა ავტომატურად, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, მისი შესარჩევი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ხოლო, ასეთი ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხების შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავს გადახდისუნარობის პრაქტიკოსის შესარჩევი ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით შერჩევის შესაძლებლობას.

პროცესის ხარჯები

კანონი ახლებურად აწესრიგებს გადახდისუნარობის პროცესის ხარჯებს და გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადების წარდგენისას გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს გადახდისუნარობის მასის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არაუმეტეს 10 000 ლარისა. ხოლო, თუ გადახდისუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ განმცხადებელს წარმოადგენს კრედიტორი, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება მისი მოთხოვნის ღირებულების 3 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არაუმეტეს 5 000 ლარისა, თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია ან არაუმეტეს 10 000 ლარისა, თუ განმცხადებელი იურიდიული პირია.

მადლობა ყურადღებებისთვის!

გვანცა სანებლიძე

უმცროსი იურისტი

gvantsa.saneblidze@conse.ge

www.conse.ge

